პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 29 მაისი, 1943 წ. № 116 (6741). ფასი 20 კაპ.

გავაძლიეროთ სათბობის დამზადება და გამოზიდვა

საომარ ომის გადამწყვეტი მომენტი მოითხოვს შეუფერებელად, შეწყობილად და ზუსტად, კარგი საათის მექანიზმივით მუშაობდნენ ჩვენი თავდაცვითი მრეწველობა და თავდაცვითი საწარმოები. „ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ,—ამბობს ამხანაგი **სტალინი**, — მოითხოვს, რათა წითელმა არმიამ მიიღოს კიდევ უფრო მეტი ქვემეხები, ტანკები, თვითმფრინავები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ნაღმსატყორცნები, საომარი მასალები, საჭურველი, სურსათი“. ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად, მთელი ჩვენი მრეწველობის, ზურგის შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭიროა ასევე შეუფერხებლად მზადდებოდეს სათბობი ფაბრიკა-ქარხნებისა, დაწესებულებებისა და მოსახლეობისათვის. ამ მიზნით მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული სათბობის ადგილობრივი ბაზები და ადგილობრივი შესაძლებლობანი. ბევრი რამ არის დამოკიდებული ინიციატივასა და გულმოდგინეზეზე. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სათბობის დამზადება — ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ჩვენმა სათბობის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ომის დღეებში დიდი მუშაობა ჩაატარეს. მაგრამ მათ წინაშე დგას სერიოზული ამოცანა: ისე მოაწყონ საქმე, რომ უზრუნველჰყონ სათბობის დამზადების გეგმების არა მარტო შესრულება, არამედ გადაჭარბებით შესრულება. ამისათვის საჭიროა ყოველმხრივ და ფართოდ იყოს გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მოქნილად და უნარიანად უნდა გამოვიყენოთ დამზადებული სათბობის გადმოსაზიდად ტრანსპორტი, მდინარეებზე ნაოსნობა. სათბობის დამზადების ტემპებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამორჩებოდეს ადგილებზე მისი მიტანის ტემპები. ტყეში დამზადებული შეშა, თუ იგი ისევ ტყეში დარჩა, სათბობად როდი ჩაითვლება. გამოზიდვის საქმეს ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. თბილისის საბჭოს აღმასკომის სათბობის ტრესტს ამჟამად ტყეში უწყვია, გასული წლის ნაშთთან ერთად, 27.500 კუბმეტრი შეშა მაშინ, როცა თბილისში დღეისათვის შემოზიდული უნდა ყოფილიყო 20.000 კუბმეტრი, ფაქტიურად კი შემოზიდულ იქნა მხოლოდ 5.600. ქალაქისათვის შეშის დასამზადებლად თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ არ შესდგომიან პრაქტიკულ მუშაობას. ტყიდან შეშის გამოსაზიდად მუშახელისა და საჭაპანო ტრანსპორტის გამოყვანის საქმეში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, ცხაკაიას, ხობის, სოხუმის, ოჩამჩირის რაიონების ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. ეს ნაკლოვანებები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ზოგიერთმა საწარმომ შეშის დამზადების მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა: თბილისის სატყეო მეურნეობამ—130 პროცენტით, გამოზიდვის დარგში—129 პროცენტით, გურჯაანისამ—100 პროცენტით, გამოზიდვისა—110 პროცენტით. შეშის გამოზიდვის გეგმები წარმატებით შეასრულეს აგრეთვე აფხაზეთისა და ფოთის სატყეო მეურნეობებმა. მაგრამ საერთო გეგმის შესრულებისათვის ეს როდი კმარა. ჩამორჩნენ მახარაძის, ხეთის, გინძე-ეწერის სატყეო მეურნეობები. საჭიროა ამ მეურნეობებმა სასწრაფოდ გარდაჭრნან მუშაობა და დანერგონ სამხედრო ტემპები შეშის დამზადებაში.

ბევრი რამ არის დამოკიდებული ტყის მჩეხავებზე. მათ ომიანობის შესაფერისად უნდა იმუშაონ, გადამეტებით შეასრულონ გამომუშავების ნორმები. ტყის საჩეხი ინსტრუმენტები სანიმუშოდ უნდა იყოს მოვლილი. საჭიროა თვით მოსახლეობა ფართოდ ჩავაბათ სათბობის დამზადებაში, დამზადებული შეშის გადმოსაზიდად კი, სადაც ეს მოსახერხებელია, გამოვიყენოთ ტივები.

სატყეო მრეწველობის კავშირმა, რომელმაც 42.000 კუბმეტრი შეშა უნდა დაამზადოს, საჭიროა კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა.

სათანადო ორგანოებმა საჭიროა შეშის დამზადებაში ჩაბმული მუშები უზრუნველჰყონ კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, ხელთათმანებით და სხვ. შეშის დამამზადებელი მუშების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ბუნებრივია, კიდევ უფრო გააძლიერებს შეშის დამზადების ტემპებს.

ძვირფას სათბობს წარმოადგენს ქვანახშირი. გასული ოთხ თვეში ქვანახშირის რეალიზაციის გეგმა მხოლოდ 78,6 პროცენტით შესრულდა, უმთავრესად ტყიბულის ტრესტის მიზეზით. ქვანახშირის რაიონების — ტყიბულისა და ტყვარჩელის შეჯიბრებამ შედეგად უნდა მოგვცეს ქვანახშირის გეგმების წარმატებით შესრულება და ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია.

შემოდგომა და ზამთარი მართალია ჯერ შორს არის, მაგრამ სათბობის ზამთრის მარაგი ახლავე უნდა შევქმნათ. საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ, მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, საჭაპანო ტრანსპორტი, რათა სათბობის ზამთრის მარაგი ახლავე იქონიონ. ეს ზამთარში შეუფერხებელი მუშაობის საიმედო პირობას წარმოადგენს.

სათბობის დამზადებას — სამხედრო ტემპები!

ნ შენაერთი. პოლკოვნიკ ამხ. ბაბაღაშვილს. მაიორ ჩიჩაძეს. მაიორ ბაღაეაძეს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა შეაერთის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 712.500 მანეთი შეაგროვეს ტანკებისა და თვითმფრინავების მშენებლობისათვის.

ი. სტალინი

საქართველოს სსრ. მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ამხ. ლიდა იოსების-ასულ ხუციძეს

გმადლობთ, ამხანაგო ხუციძე, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

საქართველოს სსრ. ქ. სამტრედია. მეორე საშუალო სკოლა ამხ. ელენე ომეხის-ასულ ყაჭეიშვილს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ქალაქ სამტრედიის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგებს, რომლებმაც შეაგროვეს 10.000 მანეთი ესკადრილია „პედაგოგის“ ასაგებად.

ი. სტალინი

საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ხარაზიას უკანასკნელი ბრძოლა

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის გმირი უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ კომსაგის-ძე ხარაზია გმირულად დაიღუპა ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში. მაგრამ სამამულო ომის ფრონტზე გმირულად განაგრძობს ბრძოლას ის საარტილერიო ქვეგანაყოფი, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი ვ. ხარაზია მეთაურობდა. არტილერისტები, რომლებმაც ხარაზიას მეთაურობით ომის სუსხიანი სკოლა გაიარეს, ულმობლად ანადგურებენ მტერს, როგორც ეს მათ ანდერძად დაუტოვა მათმა საყვარელმა მეთაურმა, უშიშარმა რაინდმა. ისინი სათუთად ინახავენ ყოფილ სახელოვანი გმირის ვ. ხარაზიას მეთაურობით წარმოებული უკანასკნელი ბრძოლის შესახებ.

ფაშისტთა ტანკების ჯგუფი საარტილერიო ქვეგანაყოფის პოზიციებზე იერიშის მოსატანად ემზადებოდა. ტანკებს ამოფარებული მოდიოდა მტრის ქვეითი ჯარი. მოწინააღმდეგის მოძრაობის ამბავი რომ შეიტყო, ხარაზიამ გასცა განკარგულება გამოეგორებინათ ბატარეები მეორე სათადარიგო ტანკსაწინააღმდეგო პოზიციებზე. საბჭოთა ქვემეხების ლულები მრისხანედ მიბრუნდნენ იმ მხარეს, საიდანაც შემჩნეული იყო მტრის მოძრაობა. ხარაზიას ბრძანებით ბატარეებმა გადაბრუნა ცეცხლი გაიჩაღეს და იწყეს გაანადგურება ფაშისტთა ქვეითი ჯარის რიგებისა, რომელიც ტანკებს მოჰყვებოდა. მაგრამ ფოლადის ნიაღვარი ახლოვდებოდა. ჩვენი ქვემეხების ცეცხლი გაძლიერდა. ოცდაათი წუთის განმავლობაში ჰიტლერელებმა ათი ტანკი დაკარგეს, მტრის 150 მეავტომატე ბრძოლის ველზე დარჩა. მაშინ ფაშისტთა სარდლობამ ჩვენი ბატარიების შემოსალელად მძიმე მანქანების ჯგუფი გამოგზავნა. არტილერისტებმა მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს გერმანელთა ტანკები. როცა უკანასკნელები 200-250 მეტრის მანძილზე იყვნენ. ხუთ-ექვსი მტრის ტანკი ადგილზე დარჩა. ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო მოგებული. მოწინააღმდეგის მეხუთე ტანკი უკვე რამდენიმე მეტრზე იყო ქვემეხიდან, რომლითაც მტერს გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა ხარაზია.

აი ერთბაშად იჭექა ორმა გასროლამ — საბჭოთა ქვემეხის ყუმბარამ გახვრიტა ტანკის ჯავშანი და მყისვე ააფეთქა ტანკი, ფაშისტური ტანკის ყუმბარა კი მოხვდა ქვემეხის ფარს, დაუმსხვრია სამიზნე მოწყობილობა და სასიკვდილოდ დასჭრა ხარაზია. მებრძოლები მისცვივდნენ მეთაურს, მაგრამ მან მოიკრიფა ძალ-ღონე და გასცა უკანასკნელი ბრძანება: „ადგილებზე... სიკვდილი გერმანელებს“.

ბრძანების შესასრულებლად საბჭოთა დეკანოზი ბრძოლას ებრძოდნენ ბრძოლას, რომელიც სრული გამარჯვებით დაამთავრეს. მოწინააღმდეგის 24 ტანკი იწვოდა და თავისი აღთქმა აუსრულებდა მტრის სრული განადგურების სურათს.

ასე, სიცოცხლის ფასად საბჭოთა ქვეყნის დიდმა მოქალაქემ ვლადიმერ ხარაზიამ გადაარჩინა ქვეგანაყოფი და უზრუნველჰყო ჩვენი ჯარების ჯგუფის უშიშროება.

ამ უკვდავი გმირობისათვის ვ. ხარაზიას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ვ. ყარა-მურზა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 მაისის დილის ცნობა

27 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

***

ჩვენმა ხომალდებმა და თვითმფრინავებმა მოწინააღმდეგის 2 თვითმავალი კარჭაპი ჩასძირეს შავ ზღვაში.

ჩვენი მორმოქმედი ავიაცია ღამე თავს დაესხა გერმანელთა რამდენიმე აეროდრომს. დაბომბვის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა და ძლიერი აფეთქება მოხდა.

***

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენმა არტილერისტებმა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ნაგებობებზე და თავმოყრილ ქვეითს ჯარზე. დანგრეულია 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი, აფეთქებულია საომარი მასალის საწყობი და მოსპობილია გერმანელთა ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი.

***

კალინინის ფრონტის ერთ უბანზე მოწინააღმდეგის რაზმმა სცადა დაეზვერა ჩვენი პოზიციები. 6 ნაწილის მებრძოლებმა თავდაპირველ ზღუდეზე უკუაგდეს ჰიტლერელები, ამასთან ხელთ იგდეს ტყვეები. ტყვედ წამოყვანილმა მე-3 ავიაქვეითი დივიზიის ეფრეიტორმა ერიხ ბოლენმა აჩვენა, რომ უკანასკნელი თვის განმავლობაში მისმა ასეულმა, რომელიც თავდაცვას ეწეოდა, 40-ზე მეტი კაცი დაკარგა მარტო მოკლულთა სახით.

***

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურეს და მოწინააღმდეგის 17 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 15 მიწური და 2 სათვალთვალო პუნქტი დაანგრიეს. მზვერავთა ჯგუფმა უფროს სერჟანტ ბოიჩუკის მეთაურობით ღამე გერმანელთა განლაგებაში შეაღწია. მზვერავები გარს შემოერტყნენ მტრის ძელმიწურ საცეცხლე წერტს, 9 ჰიტლერელი მოსპეს და ტყვეები წამოიყვანეს.

სხვაერო ბრძოლებში ლენინგრადის მისადგომებთან და ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 8 თვითმფრინავი.

***

გომელის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა 17 მაისს ღამით ლიანდაგიდან გადააგდო ფრონტის ხაზისაკენ მიმავალი გერმანელთა ჯარის 2 ეშელონი. დამტვრეულია ორი ორთქლმავალი, 23 პლატფორმა და 11 ვაგონი. მინსკის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა მაისში ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 5 მატარებელი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 5 ორთქლმავალი, 15 ვაგონი საომარი მასალა, 6 ვაგონი ჯარებიანად და 18 ვაგონი საჭურველი, სურსათი და სხვა ტვირთები. მოკლულია რამდენიმე ათეული ჰიტლერელი. ბევრ ადგილას დაზიანებულია რკინიგზის ლიანდაგი.

***

გერმანელ ლეიტენანტ ალფრედ შადტის სახელზე გაგზავნილ წერილში ვინმე კარლ დეხპლერი იუწყება, რომ ინგლისის აავიაციამ დაბომბა გერმანიის სამხედრო და მანქანათმშენებელი მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი—შტუტგარტი. „ჩემმა ძვირფასო ძმისწულო ალფრედ! ვერაფერს კარგს ვერ გაცნობებ. 14 აპრილს ღამით ჩვენზე დიდი თავდასხმა მოახდინეს. განგაში ორ საათს გაგრძელდა. განსაკუთრებით დაზიანდა ქარხნები. ისე აგვაოხრეს, რომ ვერ აგიწერ. ყველგან მოსჩანს ნანგრევები და ღორღის გროვები. კიდევ რამდენიმე ასეთი თავდასხმა, რისაც ჩვენ ასე გვეშინია, და აქ უკვე აღარაფერი დარჩება“.

***

ნორვეგიელი პატრიოტები თავს დაესხნენ გერმანელ ოკუპანტთა საომარი მასალის საწყობს. პატრიოტებმა მცველები გაანეიტრეს და ცეცხლი წაუკიდეს საწყობს. დრამენში ერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ფორმაში გამოწყობილი ნორვეგიელები იერიღის საწყობში შევიდნენ და ორი საბარგო მანქანით გაიტაცეს შაშხანები და ავტომატები. ოსლოს რაიონში პატრიოტებმა ერთმანეთს დაჯახეს ორი მატარებელი გერმანელთა ჯარებიანად. მარცხის დროს მეზავალი ჰიტლერელი დაიღუპა.

28 მაისის საღამოს ცნობა

28 მაისის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, გრძელდებოდა ბრძოლები. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

27 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სტვედასხვა უბანზე მოსპეს ან დაუბაზანეს გერმანელთა 50-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს 4 საწყობი საომარი მასალა, დაამსხვრიეს რკინიგზის 3 ეშელონი და ჩაიჩუმეს მოწინააღმდეგის რამდენიმე საარტილერიო ბატარია.

• • •

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს ერთ ასეულამდე გერმანელი ჯარისკაცი, 2 ქვემეხი, დაანგრიეს 6 ბლინდაჟი და ჩაიჩუმეს მოწინააღმდეგის რამდენიმე საარტილერიო ბატარია. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის რაზმი ცდილობდა მოეხდინა ჩვენი თავდაცვის წინა კიდის დაზვერვა. ჰიტლერელები ტყვიამფრქვევისა და თოფის ხშირ ცეცხლს წაეწყდნენ და უწესრიგოდ დაიხიეს უკან.

• • •

ბალაკლეის სამხრეთით 6 ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ბლინდაჟი და ძელმიწური საცეცხლე წერტი, მოსპეს სანაღმმტყორცნო ბატარია და 8 საცეცხლე წერტი. გარდა ამისა, არტილერიის ცეცხლით გაფანტულ იქნა გერმანელთა ავტოკოლონა ტვირთიანად. დამსხვრეულია და მოსპობილია მოწინაღმდეგის 20-მდე ავტომანქანა.

• • •

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენმა არტილერისტებმა ცეცხლი დაუშინეს გერმანელთა თავმოყრილ ქვეით ჯარს და გასწყვიტეს 150-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გვარდიის 6 ქვეგანაყოფის ნაღმტყორცნელებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 3 ქვემეხი, ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და დასწვეს 10-ზე მეტი ავტომანქანა.

• • •

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ჰიტლერელებმა იერიში მოიტანეს დასაყრდენ პუნქტზე. რომელსაც ერთი ჩვენი ქვეგანაყოფის მებრძოლები იცავდნენ. ქვეგანაყოფის მეთაურმა ლეიტენანტმა კუხტიკმა ახლო მანძილზე მოუშვა მტერი, მერმე კი თავის მებრძოლებს უბრძანა თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა გაეჩაღებინათ. ჰიტლერელებს დიდი ზარალი მოუვიდათ და აჩქარებით იწყეს უკანდახევა. ჩვენი მებრძოლები მოწინააღმდეგეს დაედევნენ და ხელთ იგდეს ტყვეები და დაგლა.

• • •

როვნოს ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა უეცრად მიიტანა იერიში გერმანელთა გარნიზონზე რკინიგზის დიდ სადგურში. გაფფორებულ ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტებმა გასწყვიტეს მტრის 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ააფეთქეს 3 ორთქლმავალი, 17 ვაგონი და ელექტროსადგური, რომელიც ენერგიას აწვდიდა საორთქლმავლო სახელოსნოებს. კიროვის სახელობის რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა, რომელიც გზატკეცილზე იყო ჩასაფრებული, დაიჭიანა გერმანელთა ჯავშნიანი მანქანა და დასწვა სამტონიანი ავტომანქანა ტვირთიანად.

• • •

გერმანელთა მოპიკრე ბომბდამშენების 1-ლი ესკადრის მე-2 ჯგუფის მე-6 რაზმის გერმანელმა მფრინავმა ლეიტენანტმა ერვინ შტაიმლემ, რომელიც დატყვევებულ იქნა 22 მაისს კურსკის რაიონში, განაცხადა: „ჩვენი რაზმი აეროდრომიდან გამოფრინდა 9 თვითმფრინავის შემადგენლობით. იმავე დროს გამოფრინდნენ ჯგუფის სხვა რაზმებიც. ჩვენ შიზნად დაგვისახეს მოგვეღწია კურსკამდე და ბომბები დაგვეშინა რკინიგზის სადგურისათვის. სამიზნესთან 5 კილომეტრზე ჩვენ დაგვხვდნენ რუსების ავიაგამანადგურებლები. საზენიტო არტილერია ძლიერ ცეცხლს გვიშენდა. მე უწესრიგოდ ჩამოვყარე ბომბები ისე, რომ სამიზნემდე არ მიმიღწევია. მთელმა რაზმმა აჩქარებით გაითავისუფლა თავი ბომბებისაგან და უკან გაბრუნებას ცდილობდა. მაგრამ მწყობრში დგომა შეუძლებელი იყო, რადგან ჰაერში რუსების ავიაგამანადგურებლები ბატონობდნენ. მე ვხედავდი, რომ ზედიზედ ჩამოვარდნენ ძირს ჩემი რაზმის თვითმფრინავები. ყველაზე უფრო დიდხანს ჰაერში დარჩენა მე მოვახერხე. რუსების ავიაგამანადგურებლებმა ჩემში მანქანის რადიატორი გახვრიტეს და მეც იძულებული გავხდი ძირს დავშვებულიყავი. აქ, ტყეეობაში, მე შეეხვდი ჩემი რაზმის 5 ეკიპაჟის მფრინავებს“.

ივანე დიმიტრის-ძე პაპანინისათვის კონტრ-ადმირალის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიენიჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული კონტრ-ადმირალის სამხედრო წოდება ივანე დიმიტრის-ძე **პაპანინს.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ი. სტალინი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი
ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 25 მაისი.

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო კუბის დესპანი ბ-ნი ა. კონჩესო

28 მაისს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თანადასწრებით მიიღო კუბის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ა. კონჩესო.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის შეთანხმება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობისათვის ფულადი სახსრებისა და მასალების მიცემასა და მომსახურების გაწევაზე ჩეხოსლოვაკიის ბრიგადის შესანახად სსრ კავშირის ტერიტორიაზე ომის პერიოდში

ა. წ. 28 მაისს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის შეთანხმება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მიერ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობისათვის იმ ფულადი სახსრებისა და მასალების მიცემასა და მომსახურების გაწევაზე, რაც საჭიროა ჩეხოსლოვაკიის ბრიგადის შესანახად სსრ კავშირის ტერიტორიაზე ომის პერიოდში“.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ **ა. ე. კორნეიჩუკმა** და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რწმუნებით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ბ-მა **ზდ. ფირლინგერმა.**

ჩვენი ავიაციის თავდასხმა რკინიგზის კვანძებზე—მოგილიოვზე, კარაჩევსა და როსლავლზე

27 მაისს ღამით ჩვენი შორსმოქმედი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს — მოგილიოვს, კარაჩევს, როსლავლს. ჩვენმა თვითმფრინავებმა დაბომბეს მოწინააღმდეგის რკინიგზის ეშელონები, საომარი მასალის საწყობები, თავმოყრილი ჯარები და ტექნიკა.

რკინიგზის კვანძებზე კარაჩევსა და როსლავლში მფრინავები ამჩნევდნენ, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა ეშელონებს, რომლებსაც შემდეგ ცეცხლი გაუჩნდათ და აფეთქდნენ.

განსაკუთრებით გამანადგურებელი დაბომბვა განიცადა რკინიგზის კვანძმა მოგილიოვმა. განმანაწილებელ და საქონლის სადგურების ტერიტორიაზე იწვოდა რკინიგზის მრავალი ეშელონი და საწყობი. ხანძრებს ძლიერი აფეთქებანი მოჰყვა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

საკავშირო სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულნი

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა აპრილის მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს, გარდამავალი წითელი დროშა დაუტოვეს **პირველი პრემია** მისცეს იმ ქარხანას, სადაც დირექტორად არის ამხ. პირიაშვილი პატრონგად—ამხ. სტეფანოვი და ქარხანის თავმჯდომარედ—ამხ. ჯელაძე.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა საკავშირო სოცშეჯიბრების აპრილის შედეგების განხილვისას გამარჯვებულად სცნეს და **მეორე პრემია** მისცეს ქარხანას, სადაც დირექტორად არის ამხ. სალაძე, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პატრონგად—ამხ. ბიჩკოვი და ქარხანის თავმჯდომარედ—ამხ. სტატნიკოვი.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატმა აპრილის შედეგების განხილვისას საკავშირო სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს და **მეორე პრემია** მიაკუთვნეს საქენერგოს ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს, რომლის დირექტორიც არის ამხ. ხეთაგური.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის IX პლენუმი

27-28 მაისს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის IX პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგშია თბილისის პარტიული ორგანიზაციის სტალინის რაიკომის საანგარიშო მოხსენების განხილვა.

პლენუმი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. იშხანოვმა.

სტალინის რაიკომის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ლოლაძე.

მან დაწერილებით გააცნო პლენუმის მონაწილეთ ის მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი მუშაობა, რაც საანგარიშო პერიოდში სტალინის რაიონის ბოლშევიკებმა გაუწიეს სამამულო ომის ვითარებაში.

რაიონის საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს 1942 წლის პროგრამა; 1943 წლის პირველი ოთხი თვის საწარმოო პროგრამა შესრულებულია 95.9 პროცენტით.

ამავე დროს რაიონის ცალკეული საწარმოები (თამბაქოს ფაბრიკა, ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველო და სხვ.) ომიანობის დროის დავალებათა შესრულებაში ჩამორჩებიან.

შეჩერდა რა წარმოების მოწინავე მუშაკთა თავდადებული შრომის ბევრ მაგალითზე, ამხ. ლოლაძემ გააკრიტიკა ედისციპლინობის, წესის, მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებისადმი უყურადღებობის შემთხვევები, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ზოგიერთ საწარმოში.

შეეხო რა პარტიულ-მასობრივ მუშაობას, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაიონული პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა პარტიაში მოწინავე არაპარტიული ბოლშევიკების—სტახანოველი მუშების, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლების მიღებით. მიღებულთა შორის არიან: ელექტრიკოსი ამხ. ფეიერშვილი, ორასოვანი სტახანოველი ქალი ამხ. რუბანი, სტალინური სტიპენდიატი სტუდენტები ამხ. გეშელინა, ლომინაძე, პროფესორები გეგერდწითელი, მაისურაური და სხვ. მაგრამ პარტიაში მიღების ხაზით მუშაობა რაიონის ბევრ პარტორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა, ხოლო ზოგიერთ პარტორგანიზაციაში (ნამშენებლო ქარხანა № 2-ისა, ფანერის ქარხნისა) მიღება ფაქტიურად არ წარმოებდა.

გააშუქა რა რაიონში საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მდგომარეობა, ამხ. ლოლაძემ გააკრიტიკა ადრინდელი მარქსისტულ-ლენინურ თვითგანვითარებაში დახმარების ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი ხარისხი.

რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში გაშუქებულ იქნა საწარმოებში. დაწესებულებებში, სკოლებში წარმოებული სამხედრო-თავდაცვითი მუშაობა. კერძოდ, დგილობრივი საჰაერო თავდაცვისა და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების ხაზით. საანგარიშო პერიოდში მომზადდა ახალი კადრები, რომლებიც სამხედრო საქმეს დაეუფლნენ. რაიონის მშრომელნი გულთბილ მზრუნველობას იჩენენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის.

მომხსენებელმა გააცნო პლენუმს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობა და აღნიშნა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი, უმთავრესად კომუნალური მეურნეობის დარგში.

* * *

სტალინის რაიკომის საანგარიშო მოხსენების გარშემო პლენუმზე გაცხოველებული კამათი გაიმართა.

ქალაქის ტრამვაისა და ტროლეიბუსების მეურნეობის მდგომარეობაზე ილაპარაკა ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ამხ. გერუფაშვილმა. მან მოიყვანა წარმოების მოწინავე სტახანოველთა მთელი რიგი გვარები, კერძოდ, დაახასიათა პარტიის წევრებისა და კანდიდატების—სოციალისტური შეჯიბრების წინამძღოლებისა და მეთაურების მთელი რიგი გვარები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ჯაფარიძემ ილაპარაკა რაიონის მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობაზე და ამასთან აღნიშნა არსებითი ნაკლოვანებანი პარტიაში მიღების, ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის და პარტიული მეურნეობის წარმოების დარგში, რასაც ადგილი აქვს ცალკეულ პარტორგანიზაციებში. აკა-იქ, როგორც, მაგალითად, თამბაქოს ფაბრიკაში, თვეობით არ იწვევენ საამქრო პარტიული ორგანიზაციების საერთო კრებებს. წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში თამბაქოს საამქროს პარტორგანიზაციას მხოლოდ ერთხელ ჰქონდა კრება. ხშირად არაკონკრეტული გადაწყვეტილებები გამოაქვთ, სუსტად არის დაყენებული შესრულების შემოწმება.

ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარების შესახებ პლენუმზე ილაპარაკა მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ცქიტიშვილმა. წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახები ღებულობენ ფულადს დახმარებას, სამრეწველო საქონელს, პროდუქტებს. რაიონში მათთვის გახსნილია შემკეთებელი სახელოსნოები. ილაპარაკა რა ნაკლოვანებებზე, ამხ. ცქიტიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სუსტად მუშაობენ ფოსტის განყოფილებანი, რომლებიც მთელი კეთრაობით უგვიანებენ ფრონტელთა ოჯახებს ფულადს გზავნილებს.

სტალინის რაიონში, სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის მდგომარეობა დაწვრილებით დაახასიათა თავის გამოსვლაში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგემ ამხ. გოგლიძემ.

რაიონის პარტიულმა

საუკეთესოდ დავამუშაოთ ნათესები

შეუდგნენ სიმინდის მარგვლას

ჭუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობაში წარმატებით მიმდინარეობს სიმინდის მარგვლა და ბალსტნების გაშენება სარეველა ბალახებისაგან. სოფ. ოფურჩხეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ნათესებს სწრაფად და მაღალხარისხოვნად ამუშავებენ მეორე, მეოთხე და მეხუთე ბრიგადები, რომელთაც სტახანოველები ის. კვიცარიძე, შალვა და სერგეპონ ახალაძეები ხელმძღვანელობენ. სიმინდის მარგვლაში თვალსაჩინოდ დაწინაურდნენ კოლმეურნეები: არსენ კვიცარიძე, რაჟდენ ახალაძე, არტემ უშვერიძე, ალექსანდრე კინწურაშვილი და ანეტა უშვერიძე, რომელნიც გამომუშავების დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. ბევრი კოლმეურნე დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს. ჩაის მკრეფავი ქალები—თ. უშვერიძე, ე. ახალაძე, გ. უშვერიძე გეგმით გათვალისწინებული 11 კილოგრამის ნაცვლად ყოველდღიურად 25-30 კილოგრამ ფოთოლს ჰკრეფენ.

გ. სამხარაძე

დაიწყო ნათესების დამუშავება

ოზნი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ონის რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით დაიწყეს ნათესების თოხნა და მარგვლა. სამუშაოთა დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებაში კარგ მაჩვენებლებს იძლევიან სორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ს. ხმალაძე), რომელმაც 3 დღეში გათოხნა 40 ჰექტარი სიმინდი და გამარგლა 30 ჰექტარი პური, აგრეთვე ღარის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ს. ჯელაძე), რომელმაც 25 მაისისათვის გათოხნა 25 ჰექტარი სიმინდი და გამარგლა 30 ჰექტარი პური. მოწინავეთა რიგებშია აგრეთვე სოფ. სევის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. აბაშვილი).

მ. ბერიშვილი

სიმინდის თოხნა

ჩხარი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები, რომელნიც ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში უხვი მოსავლის მისაღებად, უკვე შეუდგნენ სიმინდის მარგვლას. პარიზის კომუნის სახელობის (თავმჯდომარე გ. არაბიძე) და მიქიანის სახელობის (თავმჯდომარე ძ. აბულაძე) კოლმეურნეობებს 17 მაისისათვის გამარგლილი ჰქონდათ ოც-ოცი ჰექტარი, გორკის სახელობისას (თავმჯდომარე გ. გოგბერაშვილი) — 15 ჰექტარი. სტახანოვურად მუშაობენ ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში დარიკო ჭანკვეტაძის. კალისტრატე საყვარელიძის, დათა გოგიაშვილის, ივლიანე კირკიტაძის და კოტე გოცირიძის. აგრეთვე გორკის სახელობის კოლმეურნეობაში პოლიკარპე შეყრილაძის და ილია ცერცვაძის ბრიგადები. კოლმეურნეთა შორის სტახანოვური მუშაობით გამოირჩევიან ვანიჩკა ტოფაძე, ბარნაბა ნსარაძე, ფრონტელთა ცოლები მარგალიტა დიაკონიძე, ვერა პაპიძე (მიქიანის სახელობის კოლმეურნეობა) და მრავალი სხვა.

მაგრამ არიან შრომის დისციპლინის დამრღვევნიც. გრ. ბარათაშვილი, ისაკო ხეცაძე (მიქიანის სახელობის კოლმეურნეობა), ს. კვინიხიძე, გრ. ჭუმბურიძე (პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობა) საკოლმეურნეო სამუშაოზე იშვიათად გამოდიან. გ. ბარათაშვილს და ი. ხეცაძეს დღემდე მხოლოდ ხუთ-ხუთი შრომადღე აქვთ გამომუშავებული.

დ. კაჭკაჭოვი

წყალტუბოს რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის მაისის გეგმა

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა 25 მაისს 101,4 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების მაისის გეგმა. ჩაის ფოთლის კრეფაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მაღლაკის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობა და გვიშტიბის კოლმეურნეობა „ბოლშევიკი“.

წყალტუბოს რაიმოწვანის გამგე კაშიბაძე

აბრეშუმის პირველი პარკი

ჭუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ცნობილი მეაბრეშუმე 72 წლის თეო პავლესასული შავგულიძე, რომელიც უკვე 45 წელია მეაბრეშუმეობას ეწევა, წელს განსაკუთრებული მონდომებით მუშაობდა პარკის მოკლეკადებში მისაღებად. მან 21 აპრილს საინკუბაციო კამერიდან მიღებული მურიდან საუკეთესო მოვლით უზრუნველყო 15 მაისს პარკის ახვევის დაწყება, 20 მაისს კი პარკი მთლიანად იყო ახვეული. მიღებული პარკი საუკეთესო ხარისხისაა.

გეგმის შესრულება

თიანეთის მტს-მა საგაზაფხულო ხვნის გეგმა 20 მაისისათვის 117 პროცენტით შეასრულა. სულ სატრაქტორო სამუშაოები შესრულებულია 101 პროცენტით, რბილ ხვნაზე გადაყვანით ნაცვლად 1.080 ჰექტარისა დამუშავებულია 1.091 ჰექტარი. საგაზაფხულო სამუშაოთა შესრულებაში თავი ისახელა პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ნადიბაძე), რომელმაც დავალება 145 პროცენტით გაანაღდა, აგრეთვე მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი დ. ბურდული), რომელსაც საგაზაფხულო ხვნის გეგმა 120 პროცენტით აქვს შესრულებული. სტახანოვურად იმუშავეს ტრაქტორისტებმაც: ლ. სიმონიშვილმა, ვ. ჯამაგიძემ, ნ. ნიკოლენკომ, გ. დიქტერიეევმა, პ. ყორიაულმა, შ. ჯამაგიძემ. ხენა გრძელდება.

თიანეთ თის მტს-ის დირექტორი **გეგეზრიშვილი**
პოლიტ განყოფილების უფროსი **პეტრიაშვილი**

საქართველოს გზაჯაცილების სამმართველოს მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ბრძანებით 1942 წლის სამუშაო გეგმის კარგად და ვადამდე შესრულებისათვის ნიშნით „გზის საპატიო მუშაკი“ დაჯილდოებული არიან საქ. სსრ შინსახკომის გზატაცილების სამმართველოს ის მუშაკები, რომლებმაც მუშაობაში თავი გამოიჩინეს:

ა. ფ. ამირიძე—გზის ოსტატი, **გ. ი. აბულაძე**—უბნის უფროსი, **ი. ხ. ბაღდასაროვი**—უბნის მექანიკოსი, **დ. ა. ბოსტოლანაშვილი**—გზის ოსტატი, **ე. ა. ვარძიგულოვი**—უბნის უფროსი, **ხ. ვ. გედევანიშვილი**—სამმართველოს საგეგმო განყოფილების უფროსი, **მ. ფ. გვარჯველაძე**—სახელოსნის მჭედელი, **ვ. ხ. დიდენკო**—უბნის უფროსი, **დ. ლ. ჟორჟოლიანი** — სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი, **ფ. კ. ოველაშვილი**—გზის უფროსი ოსტატი, **გ. ტ. კოპალეიშვილი** — სამმართველოს მთ. ინჟინერი და უფროსის მოადგილე, **ვ. მ. კურტანიძე**—უბნის უფროსი, **დ. ე. კონშევი**—ხარატი-ბრიგადირი, **დ. მ. ლორთქიფანიძე**—რემონტიორი, **ი. ვ. ლომმოთაშვილი**—საუბნო გზის უფროსი ოსტატი, **მ. ვ. ლომიძე**—უბნის უფროსი, მარგალიტა ივანეს-ასული **მეცხრიკაძე**—უბნის უფროსი, **მ. ვ. მიხაილიჩენკო** — მუშა, **ი. მ. მარგებაძე**—სატკეპნის მოტორისტი, **ვ. ი. მორგუნოვი** — უბნის უფროსი, **ხ. ი. ფანცულაია**—უბნის უფროსი, **ბ. ო. ფუტკარაძე**—გზის ოსტატი, **პ. მ. ფარჯანაძე** — ზეინკალი, **ა. ი. ხაანიშვილი**—უბნის უფროსი ინჟინერი, **ნ. პ. ხამილკინი**—ობნის მექანიკოსი, **ა. პ. ტროიანი**—ბრიგადირი, **ო. ა. ტოროსიანი**—სახელოსნოს უფროსი, **პ. ა. ფეტისოვი**—სატკეპნის მოტორისტი, **ს. ს. ჩუგუნოვი**—უბნის უფროსი ინჟინერი, **კ. ე. იაშვილი**—უბნის უფროსი.

ბრძანებით სსრ კავშირის შინსახკომის გზატაცილების მთავარი სამმართველოსადმი დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის „**საპატიო სიგელით**“ დაჯილდოებული არიან:

გ. მ. არუთინოვი—მუშა, **ხ. გ. აქუბარდია** რემონტიორი, **ა. მ. ალმა-კაევი** — ხარატი, **პ. ტ. არხიპენკო**—მოტორების შემკეთებელი ბრიგადირი, **დ. ტ. გველესიანი**—საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი, **ი. მ. გრიშაშვილი**—სამმართველოს საფინანსო განყოფილების უფროსი, **შ. გ. გურგენიძე**—გზის მომარაგების უფროსი, **ტ. კ. გულუა**—რემონტიორი, **გ. ი. ჯაფარიძე**—საწარმოო-ტექნიკური განყოფილების საეკსპლოატაციო ნაწილის უფროსი, **ვ. ხ. დენიშენკო**—მექანიზაციის განყოფილების ინჟინერი, **პ. გ. ძიძიგური**—უბნის მექანიკოსი. **ა ა. კარპენკო**—კადრების ჯგუფის უფროსი, **ა. ლ. კაჩიბაია**—გზის ოსტატი, **ა. დ. ლაპაიშვილი**—მექანიზაციის განყოფილების უფროსი, **გ. ზ. მაჩაბლიშვილი**—პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე, **გ. ხ. მაჟავარიანი**—საგეგმო განყოფილების უფროსი ინჟინერი, **შ. კ. მალრაძე**—გზის უფროსი ოსტატი, **შ. ა. ნაკაიძე**—საკვლევო-სამეცნიერო სადგურის უფროსი, **ვ. ლ. პერევერზევი**—სამმართველოს შოფერი, **ვ. ს. კუპრაძე**—უბნის სამუშაოთა მწარმოებელი, **ო. ი. რეზნიკოვა**—საგეგმო განყოფილების უფროსი ეკონომისტი. **პ. ზ. როსტიაშვილი**—გზის ოსტატი. **ა. მ. საფარიანი**—საწარმოო-ტექნიკური / განყოფილების უფროსი ინჟინერი, **ა. ა. ტარასოვა** — სანორმირებო-საკვლევო სადგურის უფროსი, **გ. ზ. თინიკაშვილი**—შოფერი, **ა. ა. თარხანიანი**—ზეინკალი, **ხ. მ. თოდაძე**—უბნის უფროსი ინჟინერი, **დ. ო. ცერცვაძე**—უბნის უფროსი ინჟინერი, **ლ. გ. წინამძღვრიშვილი** — გზის ოსტატი, **რ. ა. ჩიქოვანი**—უბნის უფროსი ბუხჰალტერი.

დეპეშები

რუზველტის წერილი კონგრესისადმი საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის შესრულების შესახებ

ვაშინგტონი, 25 მაისი (საკადისი). რუზველტმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს მიმართა წერილით საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის შესრულების შესახებ.

„მთელი აფრიკის კონტინენტი,—ნათქვამია წერილში,—ამჟამად გაშენდილია მტრისაგან. აფრიკის ხალხები განთავისუფლებული არიან ნაცისტ-ფაშისტთა ბატონობისაგან. აფრიკაში ჩვენ ბტრს ვაგებეთ ისეთი დარტყმა, რომელიც აუცილებლად იგრძნეს ბერლინში, რომსა და ტოკიოში, და ჩვენ იმედით აღვავრთოვანეთ მილიონობით ადამიანები, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან განთავისუფლებულნი. აფრიკის განთავისუფლება მომავლის წინასწარმეტყველია. გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ მომავალ ბრძოლებში ჩვენ დაგვჭირდება სრული მხარდაჭერა ახლად განთავისუფლებული რაიონების ხალხების მხრივ და მათი რესურსების გამოყენება. ამ პოლიტიკურ და სამხედრო საქმიანობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს“.

„რაც უფრო ვუახლოვდებოდით გამარჯვებას,—ნათქვამია შემდეგ, — გაერთიანებული ერები აწვდიდნენ და აწვდიან სურსათს და მედიკამენტებს განთავისუფლებული რაიონების დამშეულთ და ავადმყოფთ“.

„ახლა,—ნათქვამია წერილში,—ჩვენ გადავაჭარბეთ აგრესორებს ყოველი კატეგორიის თანამედროვე საჭურვლის წარმოებაში. ჩვენ ვაწვდით საჭურველს იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა საბრძოლო ძლიერების შესაქმნელად შეტევის მოწყობის მიზნით, შეტევისა, რომელიც მხოლოდ ბერლინსა და ტოკიოში დამთავრდება. იმის მიხედვით, რაც უკვე მესამე წელია ხორციელდება კანონი საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემისა, ჩვენი შეიარაღებული ძალები, ჩვენი მიწოდებანი და ერთობლივი ღონისძიებანი გაერთიანებული ერებისა ვვაბეზღებენ ჩვენ მტერზე სრულ გამარჯვებასთან“

რუზველტმა აღნიშნა, რომ 1941 წლის 11 მარტიდან 1943 წლის 30 აპრილამდე ა. შ. შტატებმა დახმარება აღმოუჩინეს საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე 11.102 მილიონი დოლარი საერთო თანხის რაოდენობით. საერთო ექსპორტი აღნიშნული კანონის საფუძველზე მთელი ხნის განმავლობაში მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს, რომლის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ არ არის, 7.105 მილიონ დოლარს შეადგენს, ამაში არ შედის ჰაერით მიწოდებული თვითმფრინავები და დანშეულების ადგილზე მისული გემები.

საჭურველის სესხად ან იჯარით გადაცემის საფუძველზე მასალათა საერთო ექსპორტი შეადგენს: შეერთებულ სამეფოში—3.116 მილიონ, საბჭოთა კავშირში—1.822 მილიონ, აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში—1 მილიარდ დოლარს, ჩინეთში, ინდოეთში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში — 875 მილიონს და სხვა ქვეყნებში—292 მილიონს.

ჩამოთვალა რა საჭურვლისა და სამხედრო მოწყობილობის სხვადასხვა სახეები, რაც ეგზავნება შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირს საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე, რუზველტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი დახმარებას იძლევა აღნიშნული კანონის პრინციპის ურთიერთ გამოყენების საფუძველზე.

რუზველტის სიტყვით, ა. შ. შტატებმა 30 აპრილამდე საბჭოთა კავშირს ერთ მილიონ ტონაზე მეტი ხორსათი გაუგზავნეს, ამასთან ამ სურსათის ნახევარი გაიგზავნა უფასოდ ექვსი თვის განმავლობაში.

შეეხო რა აფრიკისა და შუა აღმოსავლეთისადმი დახმარებას, რუზველტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე მიწოდებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამხედრო გამარჯვებას ჩრდილოეთ აფრიკაში. აგრეთვე ხელს უწყობს სამოქალაქო მოსახლეობისადმი დახმარების გაწევას და ჩრდილოეთ აფრიკაში მწვავედ საჭირო ნედლეულის წარმოების აღდგენას.

ამერიკის შეერთებული შტატები აგრეთვე დახმარებას უწევენ ერაყის, ირანის, ეგვიპტისა და შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების სამოქალაქო ეკონომიკას, აგრეთვე სამხედრო წარმოებისათვის საჭირო იარაღსა და მასალებს გზავნიან თურქეთში.

რუზველტმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ინგლისელები მნიშვნელოვანი რაოდენობით აწვდიან საჭურველს საბჭოთა კავშირს, მათ შორის კანადის წარმოების საჭურველს.

შეეხო რა საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე ჩინეთისათვის გაწეულ დახმარებას, რუზველტმა განაცხადა: „ჩვენი სტრატეგიული მიზნებია ახალი სახმელეთო გზების განვითარება ჩინეთისათვის მიწოდების გასაუმჯობესებლად და ბირმის გზის გახსნა“.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 28 მაისი (საკადისი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 27 მაისს ბომბდამშენი ავიაციის „მოსკიტოს“ თვითმფრინავთა შენაერთებმა ღრმად შეაღწიეს გერმანიის ტერიტორიაზე და დაბომბეს ოპტიკური ქარხნები იენაში, ბომბები ჩამოჰყარეს 70 მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან. თვითმფრინავებმა ორგზობად 1.600 კილომეტრზე მეტი გაიარეს. აქედან 800 კილომეტრი გერმანიაზე იფრინეს. დაბომბილ იქნა ცეისსი და შოტის ქარხნები, რომლებსაც სერიოზული ზარალი მოუვიდათ.

როგორც ახლა გამოირკვა, 14 მაისს გერმანიაზე მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმისას საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 67 თვითმფრინავი, ხოლო 21 მაისს—74.

ხელოვნური ზღვის ბასეინში იერიში მიტანილ იქნა კუნძულებზე სარდინიასა და პანტელერიაზე.

საგაზაფხულო კულტურების თესვა

(საქმიწსახკომის 25 მაისის ცნობებით)

რაიონები	სულ დათესილია საგაზაფხულო კულტურები პროცენტით	მათ შორის		
		მარცვლეული და პარკოსანი	კარტოფილი	თამბაქო
აფხაზეთის ასსრ	79,3	89,5	58,5	59,6
აჭარის ასსრ	98	107,4	101,7	32,3
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	98,6	99,8	94,8	
აბაშა	100,2	100,3		
ცხაკაია	100,4	100,7		
გეგეჭკორი	100,1	100,1		
ზუგდიდი	99,6	100,5		30
ხობი	101,6	101,6		
წალენჯიხა	102,3	102,5		
ჩხოროწყუ	102,1	103,3		
მახარაძე	100,6	100,4		
ჩოხატაური	87,4	104,7		
ფოთი	81	86,1	100,5	20
ქუთაისი	96,8	101		
წყალტუბო	100,2	101,6	101,4	
სამტრედია	101	100,9	100	
წულუკიძე	98,8	100,3	100	
ვანი	100	102,4	100	
მაიაკოვსკი	98	100,9	107,7	
ზესტაფონი	100,9	101	100	
ჩიკორა	102	103,1	100	
ჭიათურა	100,1	100	100	
საჩხერე	100,2	101,1	100	
ორჯონიკიძე	103,7	103	102,7	
ტყიბული	102,3	102,1	121,4	
ონი	101	101,3	100	
ამბროლაური	102	102,4	100,4	
ცაგერი	101,7	101,8	100	
ცაგერი	100,1	99,9	100	

რაიონები	სულ დათესილია საგაზაფხულო კულტურები პროცენტით	მათ შორის		
		მარცვლეული და პარკოსანი	კარტოფილი	თამბაქო
ქვემო სვანეთი	101,1	102,6	103,3	
ზემო სვანეთი	—	—	—	
ახალქალაქი	94,4	100,2	100,2	
ბოგდანოვკა	97,5	100	103,8	
ახალციხე	100,3	101,5	100	
ადიგენი	100	100,2	100,6	
ასპინძა	101,5	101,2	106,7	
ხაშური	101,6	105,9	102	
ქარელი	99,4	102,2	131	
გორი	100,9	106,5	112	
კასპი	101,3	104,1	100	
ბორჯომი	100,1	103	100,2	
წალკა	93,5	98	102,7	
დუშეთი	102,1	103,4	103,3	
თეთრი წყაროო	101,4	100,1	100	
თიანეთი	87,2	90,7	100,4	
ყაზბეგი	—	—	—	
გურჯაანი	101,4	105,2	79	75
სიღნაღი	97,3	100,6	100	72,2
წითელწყაროო	104,1	106,9	85,7	
თელავი	101,6	104	101,8	
ყვარელი	97,9	100,4	100	68,3
ლაგოდეხი	100,3	100,4	100	100
თბილისი	91,3	101,9	43,6	
მცხეთა	92,1	109,1	77,5	
ყარაია	86,7	106,6	111,5	
ბორჩალო	88,5	106,8	100,8	74,1
ბოლნისი	99,3	102,2	92,3	77,9
საგარეჯო	100,4	110,2	53,4	
ბაშკიჩეთი	101,1	105,7	107,5	

რაიონული პარტკონფერენციები

წულუკიძის რაიონი

წულუკიძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში ჩატარდა წულუკიძის რაიონის XXI პარტიული კონფერენცია.

კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი: 1. რაიონული კომიტეტის ანგარიში, 2. რაიკომის სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3. რაიკომისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი ამხ. ლ. გორგიძე. სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. სანოძემ.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. მონიავამ, რ. ბაბტაძემ, ა. ლომიძემ, ა. რუხაძემ, გ. ციბაჭემ, ი. ქაშიბაძემ, პ. ნანიტაშვილმა, ნ. პაპასკირმა, ა. ღვინაძემ, ს. ხუნწელიამ, ჭ. კუხალაშვილმა, დ. მელქაძემ, სულ 21-მა კაცმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის, შვიდ გენერალობის კონფერენციაზე ირჩევა 39 წევრი და 9 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში—5 ამხანაგი. შესდგა რაიკომის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია რაიონული კომიტეტის ბიუროს 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ლ. გორგიძე. მეორე მდივნად—ამხ. შ. ბოჯგუა, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ა. რუხაძე. პლენუმმა დამტკიცა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის და საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებათა გამგეები და რაიონულ გაზეთ „დამკვრელის“ პასუხისმგებელი რედაქტორი.

კ. ცაცუა

ქედის რაიონი

ბათუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში ჩატარდა ქედის რაიონული პარტიული კონფერენცია. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კონფერენციაზე საქ. კ. პ. (ბ) ქედის რაიკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. კ. ლომაძე, რაიკომის სარევიზიო კომისიის ანგარიშით—ამხ. გ. ჯაველიძე. მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 15 ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სწორად და მუშაობა დამაკმაყოფილებლად. კონფერენციამ რაიკომის ახალ შემადგენლობაში აირჩია 27 წევრი და 7 კანდიდატი. სარევიზიო კომისიაში—5 კაცი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) აჭარილქომის მდივანი ამხ. გ. თვალჭრელიძე.

შესდგა რაიკომის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია რაიკომის ბიუროს 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. საქ. კ. პ. (ბ) ქედის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. კ. ლომაძე. მეორე მდივნად—ამხ. ჯ. დეკაძე. მდივნად კადრების დარგში—ამხ. გ. ჯაველიძე.

ნ. პაიჭაძე

აჭარის მწერალთა კავშირში

ბათუმში შესდგა აჭარის საბჭოთა მწერლების კავშირის გაფართოებული კრება. მოხსენებით—აჭარის მწერალთა კავშირის მუშაობა სამამული ომის პერიოდში—გამოვიდა კავშირის პ/მგ. მდივანი ამხ. პ. ლორია. კამათში მონაწილეობა მიიღეს 6. მალაზონიამ, კ. რუსიძემ, შ. შუბლაძემ, ნ. გვარიშვილმა, გრ. გრიგორიანმა, ე. ჩიქოვანმა, ზ. ართილაყვამ და ნ. პაიჭაძემ. დასასრულ ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი, პროპაგანდის დარგში ამხ. ბ. ნანიტაშვილი.

კრებაზე აღინიშნა, რომ აჭარის საბჭოთა მწერლებმა—პროზაიკოსმა პ. ლორიამ, პოეტებმა ნ. მალაზონიამ, შ. იოსელიანმა, პ. რუსრუამ, კ. რუსიძემ, მ. ვარშანიძემ, შ. შუბლაძემ და სხვ. სამამულო ომის პერიოდში შეექმნნენ მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებიც თავმოყრილია აჭარის სახელგამის მიერ გამოცემულ ოთხ ლიტერატურულ კრებულში. მათი ნაწერები აგრეთვე გამოიცა ცალკე წიგნებად და ქვეყნდება რესპუბლიკურსა და საოლქო პრესაში. მაგრამ ამ პროდუქციის საგრძნობ ნაწილს აკლია დამაჯერებლობა. მხატვრული ზემოქმედების სიძლიერე, რაც შეეხება საბჭოთა ხელოვნების საკითხებს, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა პატრიოტულ საქმეებს, ისინი სათანადო ასახვას ვერ პოულობენ აჭარის მწერალთა ნაწარმოებებში.

ამხანაგებმა გააკრიტიკეს მწერალთა კავშირის მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობის სუსტი მხარეები; აღნიშნეს, რომ ბოლო ხანებში თითქმის სრულიად არ ტარდება ლიტერატურული საღამოები, მკითხველებთან შეხვედრა, სუსტია კავშირი და თანამშრომლობა ხელოვნების სხვა დარგთა მუშაკებთან, სათანადო დახმარება არ ეწევა ახალგაზრდა მწერლებს, არ ხდება ლიტერატურული ძალების შემოკრება მწერალთა კავშირის გარშემო, რის გამო მწერალთა ორგანიზაცია არ იზრდება.

კრებაზე ერთსულოვნად იქნა გამოთქმული სურვილი, რომ მოგვარდეს აჭარის საბჭოთა მწერლებისა და ხელოვნების სხვა მუშაკების მრავალტირაჟიანი ფხატვრულ-ლიტერატურული ნაბეჭდი ქედლის გაზეთის გამოცემის საქმე, რაც დიდად დაეხმარება მწერლებისა და ხელოვნების სხვა დარგთა მუშაკების დაჯილდოებას მასებთან და ხელს შეუწყობს მათი შემოქმედებითი მუშაობის გარდაქმნა-გაქტივებას.

ნ. პაიჭაძე

31 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორის ამხ. **ვორონოვიჩის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მომდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.**

ბილეთების მიღება შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღ. 8 საათამდე.

„დინამოს“ სპორტიონზე

კვირას, 30 მაისს, ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგება ფიზკულტურელთა გამოსვლა. პროგრამაშია თბილისის სპორტსკოლის მოსწავლეთა და კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტთა გამოსვლა თავისუფალ ჭარჯიშში, აკრობატების გამოსვლა, „დინამოს“ ცხენოსანთა გუნდის გამოსვლა ჩეხაში, დუმბაძის და ანტიპიევის გამოსვლა რეკორდის დამყარებისათვის. დასაწყისი დღის 4 საათზე. ფიზკულტურელთა გამოსვლის შემდეგ მოეწყობა საქალაქთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ითამაშებენ სოხუმის „დინამოს“ და თბილისის წითელი არმიის საოლქო სახლის გუნდები. მატჩის დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „ლედი ჰამილტონი“. ოქტომბერი—„გამარჯვება უდაბნოში“, **დამკვრელი**—„ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **კომკავშირელი**—„ზეცა“, **სპარტაკი**—„მასკარადი“, **ლუქსემბურგის სახ.**—„კოტოვსკი“, **კომინტერნი**—„მუსიკალური ისტორია“, **26 კომ. სახ.**—„ჯარისკაცი ფრონტიდან მოდიოდა“.

ლექციები და მოხსენებები

სტალინის სახელობის კულტურის და დასვენების პარკის (ფუნიკულიორის პლატო) საღამოს ლექციო დარბაზში 30 მაისს შესდგება ამხ. **სულეიმანის** მოხსენება თემაზე: **„დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტი“.**

დასაწყისი საღ. 6 საათზე. შესვლა თავისუფალია.

29 მაისს, საღ. 7 ს. 30 წ., ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკის კონდარბაზში ამხ. **ნ. რუბეენი** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობა“.

დასწრება თავისუფალია.

თეატრებში

სახოპერა—29 მაისს—„ლალატი“, 30 მაისს—დღისით — „ქეთო და კოტე“, საღამოს — „პატარა ალი“. **რუსთაველის სახელობის**—29 მაისს — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი“, 30 მაისს—დღისით—„სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი“, საღამოს—„ოტელო“. **მარჯანიშვილის სახელობის**—29 მაისს „რაც განსახავს, ვეღარ ნახავ“, 30 მაისს — დღისით—„რაც განსახავს, ვეღარ ნახავ“, საღამოს—„ეჭვით ავადმყოფი“. **მუსიკალურ კომედიის**—29 და 30 მაისს—დღისით და საღამოს—„ოქროს გასაღები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, 31 მაისს
რესპუბლიკის სახალხო არტისტის **ნიკო გოცირიძის**
სასცენო მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავი ს ა ღ ა მ ო
შესავალი სიტყვა—პოეტი **ი. გრიშაშვილი.**

ზ. ანტონოვი
მზის დაბნელება საქართველოში 1 მოქმედება
ავ. ცაგარელი
ხ ა ნ უ მ ა მე-2 და მე-3 მოქმედება
მონაწილეობენ: **ნიკო გოცირიძე** (რესპ. სახ. არტ.)
ელისაბედ ჩერქეზიშვილი (რესპ. სახ. არტ.)
და მთელი დასი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი

ყოველდღიურად **ს ე ი რ ნ ო ბ ა** — კინოთეატრი, სასულე და ჯაზ-ორკესტრი, ცეკვები, ატრაქციონები, სამკითხველო, გამოფენა, ბილიარდები, საბავშვო გასართობები

შაბათს, 29 მაისს, საღ. 7 ს. და 30 წ. **საზაფხულო კინოთეატრში**

— მ ს ო ფ ლ ი ო რ უ ჯ ა ს თ ა ნ —

საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა,
მიმოხილვას და საკითხებზე პასუხს ატარებს **ნ. რუბეენი.**

გარსევან, გედევან, გრიშა, რისიმე, ნინო, ლუბა ოჯახებიან იუწყებიან დედის
მარო კალანდაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/V, 7 ს. გამოსვ. 30/V, 5 ს. ცეტკინის, 102. 1237

შვილები ფაცერა, დათიკო, პატიკო, გუგულა, რძლები, სიძეები, იუწყებიან, რომ 30